

ქალაქ ქუთაისში, ლეონიძის ქუჩის N1 საცხოვრებელი სახლის N16 ბინაზე, მოქალაქე ჟანა ლეკვეიშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. ჟანა ლეკვეიშვილის წარმომადგენლის მოქ.ნუგზარი ოქროჭელიძის /სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N140696922/ განცხადების /27.08.2014წ. Nთ-6567/ თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, ლეონიძის ქუჩის N1 საცხოვრებელი სახლის N16 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ჟანა ლეკვეიშვილს / პ/ნ N60002011233/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი. გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, ლეონიძის ქუჩის N1 საცხოვრებელი სახლის N16 ბინაზე საერთო ფართობი 49,71 კვ.მ., მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 25,77 კვ.მ, დამხმარე ფართობი 23,94 კვ.მ, მოქალაქე ჟანა ლეკვეიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურღულია